

აღზრდის განზომილებები და მიჯაჭვულობა

ქეთი მამუჩაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ფსიქოლოგია: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთი მამუჩაშვილი,

ივნისი, 2019 წელი.

აბსტრაქტი

ბავშვის განვითარებისა და პიროვნებად ფორმირების პროცესში ოჯახს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ჩვილსა და მომვლელს შორის არსებული გარკვეული ტიპის ურთიერთობა სამომავლოდ განაპირობებს პიროვნების ჩამოყალიბების არაერთ ასპექტს. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს მიჯაჭვულობა, რომელსაც ადამიანის ემოციური და კოგნიტური განვითარებისათვის კრიტიკული მნიშვნელობა გააჩნია; ოჯახი არის ის პირველი კონტექსტი, სადაც ხდება მიჯაჭვულობისა და ემოციათა რეგულირების უნარის ჩამოყალიბება. ურთიერთობის ეს პირველი ფორმები შემდგომში განსაზღვრავს მიჯაჭვულობის როგორი ტიპი ჩამოყალიბდებდა ბავშვობასა თუ ზრდასრულობაში. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს აღზრდის განზომილებასა და მიჯაჭვულობის ტიპებს შორის კავშირის კვლევას. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 85 რესპოდენტმა. საკვლევ ინსტრუმენტებად გამოყენებულია აღზრდის სტილის განზომილებების კითხვარი (Parenting Dimensions Inventory (PDI)) და მიჯაჭვულობის საზომი კითხვარი (MAQ – Measure of Attachment Qualities). აღზრდის განზომილებებსა და მიჯაჭვულობის ტიპებს შორის კავშირის დასადგენად გამოყენებულია პირსონის კორელაციის კოეფიციენტი; აღზრდის განზომილებების პრედქტორული ღირებულების გამოსავლენად გამოთვლილ იქნა მრავლობითი რეგრესია.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ აღზრდის განზომილებებსა და მიჯაჭვულობის ტიპებს შორის არსებობს კავშირი; რაც უფრო მაღალია ფსიქოლოგიური და კონტროლის დონე, მით უფრო მაღალია არასანდო მიჯაჭვულობის ტიპების და დაბალია სანდო მიჯაჭვულობის მაჩვენებელი. მხარდაჭერისა და ავტონომიის მხარდაჭერის მაღალი დონე უკავშირდება სანდო მიჯაჭვულობის დონის ზრდას; არასანდო მიჯაჭვულობის ტიპების შემთხვევაში კი პირიქით, მშობლის მხრიდან გამოვლენილი მხარდაჭერის და ავტონომიის მხარდაჭერის დაბალი დონე უკავშირდება განრიდებადი, ამბივალენტური-მღელვარე და ამბივალენტური-მიახლოებადი მიჯაჭვულობის ტიპების მაჩვენებლის ზრდას.

საკვანძო სიტყვები: აღზრდა, აღზრდის განზომილებები, მიჯაჭვულობა, მშობელი, ბავშვი.

Abstract

The family contributes to the development of the child and the process of personality. Some kind of relationship between an infant and a caregiver leads to a number of aspects of personality development in the future. One of them is the attachment that has critical importance for emotional and cognitive development; The family is the primary context for developing ability of emotions regulation and attachment. These first forms of relationship determine the type of attachment of childhood or adult in future. The aim of this study is to show the connection between parenting dimensions and attachment styles. 85 respondents participated in the study. Participants were evaluated with the Parenting Dimensions Inventory (PDI) and the Ratio Measurement Questionnaire (MAQ - Measure of Attachment Qualities).

To reveal the connection between parenting dimensions and attachment types, we used Pearson correlation coefficient. Multiple regression methodology was used to find the predictive value of parenting dimensions.

The result of the present study indicate that there is a correlation between parenting dimensions and attachment styles. Higher level of psychological and behavioral control is related to higher level of insecure attachment and lower level of secure attachment. In contrast, autonomy support and support correlates lower level of insecure attachment and higher level of secure attachment.

Keywords: Parenting, Parenting dimensions, Attachment, Child, Parent.